სამედიცინო გაზეთი

PER TRADITIONES AD FUTURUM

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№9 (307) ნოემბერი, 2017 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილე პაატა ბუკია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

2017 წლის 1 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საექიმო სპეციალობის მაძიებლებს, მოქმედ რეზიდენტებს, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ სტუდენტებს შეხვდნენ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილე პაატა ბუკია.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია; კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე; ვიცე-რექტორები, პროფესორები: ხათუნა თოდაძე და რიმა ბერიაშვილი; მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი; დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ზაზა ბოხუა; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე; კომპანია „ევექსის“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ გამყრელიძე, ამავე კომპანიის დიპლომისშემდგომი მზადებისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი ეკატერინე სეფერთელაძე და სხვა დაინტერესებული პირები.

შეხვედრა გახსნა და აუდიტორიას მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია. მან განსაკუთრებულად აღნიშნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მოხარულია, ბატონი დავით სერგეენკოს თავის ალმა-მატერში მობრძანების გამო. რაც შეეხება შეხვედრის თემას, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ის უაღრესად მნიშვნელოვნად შეაფასა დიპლომისშემდგომი განათლების სფეროში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო განსაკუთრებული სითბოთი მიესალმა ახალგაზრდა მსმენელებს: ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კედლებში ყოფნა. როგორც ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, ჩვენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დიდი პრაქტიკა და მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. განსაკუთრებული პატივია, შევხვდე ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, რომლებმაც მძიმე, მაგრამ უაღრესად საპატიო პროფესია აირჩიეს. მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა და მოგახსენოთ სიახლეების შესახებ.

დღეს ჩვენი შეხვედრის თემა ორი მთავარი საკითხია: ერთია დიპლომისშემდგომი განათლების გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა. ჩვენ დავიწყეთ სამი წლის წინ იმ მაძიებლების დაფინანსება, რომელიც გარკვეულ რეგიონებში, სადაც ამისი დეფიციტი იყო, გამოთქვამდნენ საექიმო საქმიანობის სურვილს განსაზღვრული დროით. ეს იყო მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამა. ახლა შევიმუშავეთ მაძიებელთა მხარდაჭერის პროექტი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის ფარგლებში, ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდებზე უმაღლესი შეფასების საექიმო სპეციალობის მაძიებლებს სტიპენდია მიენიჭებათ. ჯამურად დაფინანსდება არაუმეტეს 10 ადამიანისა, თითოეულზე გამოიყოფა 2200 ლარი. დაფინანსდება ის სპეციალობები, რომელიც აქტუალური და გარკვეულწილად დეფიციტურია.

მეორე საკითხი მეტ დეტალიზაციას მოითხოვს: ეს გახლავთ გამოცდების და ტესტების საკითხები. არსებული სისტემა მოქმედებს, რომ საკუთარი ცოდნის დადასტურება მიიღოს ექიმობის მაძიებელმა. როგორი სირთულისაც არ უნდა მოგეჩვენოთ ეს გამოცდა, მერწმუნეთ, პაციენტი ბევრად რთულ გამოცდას ჩაგიტარებთ“.

შეხვედრაზე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, პაატა ბუკიამ, დეტალურად ისაუბრა ყველა სიახლეზე, რაც გამოცდებსა და ტესტებს შეეხებოდა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, პაატა ბუკიამ, პასუხები გასცეს შეხვედრაზე დასმულ შეკითხვებს. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ საექიმო სპეციალობის წარჩინებული მაძიებლებისთვის სტიპენდიის დაწესება სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მაღალი სტანდარტების პაციენტური მზრუნველობის ცენტრის მშენებლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა

გვ 7

უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმები: თსსუ-ის კურსდამთავრებული, ქალბატონი ირმა კვიცარიძე და მსოფლიოში ცნობილი ქირურგი, ბატონი რამაზ დათიაშვილი რუბრიკაში - "ფენომენი"

გვ 5

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, სერგეი რაბინოვიჩის საჯარო ლექცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

გვ 6

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, ილია საბინაშვილის წლის ფარგლებში, პროფესორ ბესარიონ კილასონიას საჯარო ლექცია - „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“, წარადგინა

გვ 7

სტუდენტური გვერდი

- ვარდისფერი ოქტომბერი
- სტუდენტური წვეულება
- Loving Someone With Alzheimer,s disease



გვ 4

მაღალი სტანდარტების პალიატიური მზრუნველობის ცენტრის მშენებლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა

2017 წლის 13 ნოემბერს, საქართველოს და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ხელი მოეწერა მემორანდუმს - „საქართველოში ბავშვთა გრძელვადიანი პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარების შესახებ“. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ნინო ბერძულმა, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა, პაველ ფრელიჩმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერმა, პროფესორმა, ზურაბ ორჯონიკიძემ.

პროექტის მიზანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიური კლინიკის ტერიტორიაზე მაღალი სტანდარტების პალიატიური მზრუნველობის ცენტრის მშენებლობა, მისი შესაბამისი საკადრო რესურსითა და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

პალიატიური მზრუნველობა გულისხმობს აქტიურ, მრავალპროფილურ მზრუნველობას იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება. მისი უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა და ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მხარდაჭერა, პალიატიური ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევა.

ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსი მარინა დარახველიძე, ადმინისტრაციის უფროსი — დავით ბიბილაშვილი, საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს ატაშე ურთიერთობების განვითარების საკითხებში — იან ჩერნიკი, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში — კატერინა სიმოვა და საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,ჩეხეთის კარიტასის“ საქართველოს ფილიალის დირექტორი — ეკა მესხრიკაძე.

მნიშვნელოვანი ვიზიტით ბუდაპეშტში

2017 წლის 24-27 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ქალაქ ბუდაპეშტში (უნგრეთი).

ვიზიტის ფარგლებში, 25 და 26 ოქტომბერს სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა მონაწილეობა მიიღო უნგრეთის რექტორთა კონფერენციის წევრებთან შეხვედრაში. აღნიშნულ შეხვედრას, ასევე, დაესწრო საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგა ზედანია, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ღავთაძე, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია და განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ნინო ჭელიძე.

დელეგაციის წევრებს ჰქონდათ საინტერესო შეხვედრები უნგრეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან და შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტების რექტორებთან.

ვიზიტის ფარგლებში, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია შეხვდა უნგრეთის რექტორთა კონფერენციის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს, უნგრეთის სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტს, სზეჯედის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს საერთაშორისო მიმართულებით, ქირურგ-სტომატოლოგს, პროფესორ კატალინ ნაჯის და ბუდაპეშტის სემელვეის სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორ გიორგი ბაგდის, რომელიც კურირებს მეცნიერების მიმართულებას. პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ასევე, შეხვედრა ჰქონდა ტემპუსის ფონდის წარმომადგენლებთან, კერძოდ: ,,ისწავლე უნგრეთში” მიმართულების ხელმძღვანელთან, გაბორ დობოსთან და ,,ისწავლე უნგრეთში” მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილესთან, ორსოლია იანოსიკთან, ასევე, უნგრეთის სასტიპენდიო პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილესთან, მარტონ ბელიკთან და უმაღლესი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილესთან, პროფესორ მარტონ ბეკესთან.

გარდა აღნიშნულისა, დელეგაცია მიიღო სახელმწიფო სააგენტომ, რომელიც უნგრეთის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაში იღებს მონაწილეობას.

შეხვედრების ფარგლებში დაიგეგმა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გზები და პერსპექტივები.

ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში

2017 წლის 24-27 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ირმა მანჯავიძე, თსსუ-ის საპატიო დოქტორის ქალბატონი ირმა კვიცარიძის ინიციატივით, მიწვეული იყო ინსბრუკის (ავსტრია) საუნივერსიტეტო კლინიკის საექთნო სკოლის სიმულაციური ცენტრის გახსნის ცერემონიაზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ტიროლის მხარის სამედიცინო სამსახურის უფროსი, სამხარეო მრჩეველი, დოქტორ ბერნჰარდ ტილგი, ინსბრუკის უნივერსიტეტის ტიროლის კლინიკის სამედიცინო დირექტორი, პროფესორი ვოლფგანგ ბუხბერგერი, ტიროლის კლინიკის დირექტორი შტეფან დეფლორიანი, საექთნო სკოლის დირექტორი ვალტერ დრაქსლი.

გახსნის ცერემონიის შემდგომ გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინსბრუკის ,,ინტერპერსონალური ტრენინგის და სიმულაციური ცენტრის“ დიდი ურთიერთკავშირის შესახებ და დაისახა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ვიზიტისას პროფესორი ირმა მანჯავიძე გაეცნო ინსბრუკის უნივერსიტეტის ტიროლის კლინიკის სხივური თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრს და იქ დანერგილ სიახლეებს, კლინიკის საექთნო სკოლის სასწავლო ბაზებს და შეხვდა საექთნო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, ქალბატონ ვალტრაუდ ბუხბერგერს.

თსსუ-ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ორ სტუდენტს და ერთ თანამშრომელს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ პრიორიტეტად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას და მათზე ზრუნვას, რასაც არაერთი ღონისძიება და საქველმოქმედო აქცია მიეძღვნა. ამჯერად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ინიციატივით, წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაწეოდა სამედიცინო უნივერსიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორ სტუდენტს და ერთ თანამშრომელს, მათი გადაადგილებისთვის საჭირო, შშმ პირებისთვის ადაპტირებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაძენად.

თითოეულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა თანხა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, რაც მათ საშუალებას მისცემს გაიუმჯობესონ ქალაქში გადაადგილების პირობები.

ვიზიტი პოლ საბატიეს უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ERASMUS+“-ის კოორდინატორი, ნინო კანდელაკი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორ ტულუზის პოლ საბატიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიწვევით იმყოფებოდნენ საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში. პროფესორი ხათუნა თოდაძე და ქალბატონი ნინო კანდელაკი შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს: ბატონ ფაბრის დიუმას (r. Fabrice Dumas) „ERASMUS+“-ის კოორდინატორს და ვიცე-პრეზიდენტს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ბატონმა დიუმამ შეხვედრის დროს განაცხადა, რომ უნივერსიტეტების თანამშრომლობის გაგრძელება „ERASMUS+“-ის პროექტის ფარგლებში უნდა აისახოს ტულუზის პოლ საბატიეს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში, რომლის დამტკიცება მოხდება ნოემბრის თვეში.

სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ: ტულუზის პოლ საბატიეს უნივერსიტეტის პურპანის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ დიდიე კარიეს (Professor Didier Carrier, Dean of the Faculty of Medicine of Purpan) და რანგვილის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანს, ელიე სერანოს (Professor Elie Serrano, Dean of the Faculty of Medicine of Rangueil).

ფრანგულმა მხარემ სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შესთავაზა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფრანგული ენის მცოდნე რეზიდენტების მიღება ზაფხულის სტაჟირებისათვის, სამედიცინო უნივერსიტეტის 5 ფრანგულ/ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის მობილობა (2–2 კვირის პერიოდით) და „ERASMUS+“-ის პროექტის ფარგლებში სამედიცინო უნივერსიტეტის 4 ფრანგულის მცოდნე რეზიდენტის მობილობა 2018 წლის განმავლობაში.

პროფესორი ხათუნა თოდაძე და ქალბატონი ნინო კანდელაკი ასევე შეხვდნენ: „ERASMUS+“-ის კოორდინატორს მედიცინის ფაკულტეტისთვის პროფესორ მეიერ ელბაზს (Professor Meyer ELBAZ, Erasmus+ Coordinator of the Faculties of Toulouse), რომელმაც გამოთქვა სურვილი, მიიღოს თსსუ-ის რეზიდენტები თავის დეპარტამენტში.

შეხვედრა გაიმართა პროფესორ ფილიპ პომართანაც (Professor Philippe POMAR, Dean of the Faculty of Dental Surgery), ყბა-სახის ქირურგიის და ოდონტოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან, რომელმაც ასევე მზადყოფნა გამოთქვა სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტების მიღებისა, 3 ან 10 თვიანი პერიოდით, „ERASMUS+“-ის მობილობის პროგრამის ფარგლებში.

სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს საერთაშორისო პროექტების კრედიტების მობილობის პროექტის კოორდინატორ, ქალბატონ ოქსანა კონდუზოვასთან, რომელმაც სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შესთავაზა „Horizon 2020“-ის სამეცნიერო პროექტებში თანამშრომლობა.

დიდიე დიჩის ლექცია და მასტერ-კლასი

2017 წლის 28-29 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე ვიზიტით იმყოფებოდა უკრაინაში, ქალაქ პოლტავაში, სადაც დაესწრო ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტის, დიდიე დიჩის, ლექციასა და მასტერ-კლასს. ორდღიანი ღონისძიება თანამედროვე სტომატოლოგიის ერთ-ერთ დაუძლეველ პრობლემას - კბილთა ცვეთასა და მისი რეაბილიტაციის გზების ძიებას მიეძღვნა.

დიდიე დიჩის ლექცია გაჯერებული იყო პრაქტიკული აქტივობებით, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო კბილთა ცვეთის პირდაპირი გზით კორექციის ხერხები თანამედროვე სარესტავრაციო მასალების გამოყენებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალური საკითხები

2017 წლის 28-29 ოქტომბერს ქალაქ საჩხერეში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა გასვლითი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალური საკითხები“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ლაბორანტები და მოწვეული პედაგოგები. კონფერენციის მუშაობაში, ასევე, მონაწილეობას იღებდნენ შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რუსუდან ჯავახაძე და ამავე ინსტიტუტის ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი ინგა ღვინერია.

კონფერენცია გახსნა და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი. შემდგომ მოხსენება წაიკითხა თსსუ-ის გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რევაზ კვერენჩხილაძემ, რომელმაც ისაუბრა გარემოსა და ჯანმრთელობის ურთიერთდამოკიდებულების აქტუალურ საკითხებზე.

სიმპოზიუმი ქალაქ ვიცბურგში

2017 წლის 7-11 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის N1 დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ხათუნა ლომაური იმყოფებოდა ქალაქ ვიცბურგში ვორქშოფ-სიმპოზიუმზე - ,,თანამედროვე მიღწევები ნეონატოლოგიაში“. სიმპოზიუმი ვიცბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ორგანიზებით სამ წელიწადში ერთხელ ტარდება და საერთაშორისო მასშტაბისაა.

ვიზიტისას პროფესორი ლომაური გაეცნო ნეონატოლოგიის უახლეს მიღწევებს, რეკომენდაციებს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების კუთხით. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ნეონატოლოგიის პრობლემური საკითხები - დღენაკლულ ახალშობილთა ვენტილაციური მართვა, ენტერალური და პარენტერალური კვების პრინციპები, სეფსისი, შიდაჰოსპიტალური ინფექციები, მათი მართვა და პრევენციის თანამედროვე გზები.

თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორის ვიზიტი უნგრეთში

2017 წლის 8-10 ნოემბერს, „EaP Plus”-ის ბროკერული შეხვედრის საგრანტო პროექტის კონკურსში („ICT Proposers“ - Day 2017”) გამარჯვებული, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლუიზა გაბუნია, იმყოფებოდა ქალაქ ბუდაპეშტში (უნგრეთი), სადაც დაესწრო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამის („Horizon-2020“) ფარგლებში გამართულ საპარტნიორო შეხვედრას – „ICT Proposers” - Day 2017”. ღონისძიება „Horizon - 2020“-ის ფარგლებში შერჩეულ თემაზე კონკრეტული საპროექტო წინადადებების მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა.

8 ნოემბერს, ღონისძიების გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ უნგრეთის მთავრობის წარმომადგენლები. 9 და 10 ნოემბერს გაიმართა მეცნიერთა საპარტნიორო შეხვედრები, რომლის ფარგლებში ქალბატონი ლუიზა გაბუნია შეხვდა ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის 21 მეცნიერს, განიხილეს სამეცნიერო თანამშრომლობის პერსპექტივები და საგრანტო პროექტების ფარგლებში ერთიანი კონსორციუმის ჩამოყალიბების შესაძლებლობები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის შეხვედრები სტუდენტებთან

მიმდინარე წლის 15 და 20 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, შეხვდა პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 სემესტრის სტუდენტებს. შეხვედრის მიზანი იყო, დაინტერესებული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მიმდინარე და დასრულებული პროექტების წარდგენა, მათი კიდევ ერთხელ ინფორმირება იმ პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ, რასაც საერთაშორისო ურთიერთობები და გაცვლითი პროგრამები, მათ შორის, პროგრამა „ERASMUS+“, სთავაზობს სტუდენტებს და ყველაზე მთავარი: სტუდენტების შეხედულებების, შენიშვნების, სურვილების მოსმენა, მათგან სასწავლო პროცესის პირუთვნელი შეფასების გაცნობა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის. ამისთვის ყველა პირობა არსებობდა. როგორც ბატონმა რექტორმა აღნიშნა, წინადადებები და შენიშვნები შეიძლებოდა როგორც წერილობით (ანონიმურად), ისე ვინაობის დასახელებით მიეწოდებინათ რექტორისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, გულითადად მიესალმა შეხვედრაზე მისულ სტუდენტებს, უდიდესი პატივისცემა გამოხატა მათ მიმართ და აღნიშნა: „სტუდენტი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაა უნივერსიტეტში, ამიტომაც თქვენი აზრი ყველაფერთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ეს თქვენი უნივერსიტეტია და ასე იქნება მუდამ, მას მერეც, რაც უნივერსიტეტს დაამთავრებთ და პროფესიონალები გახდებით. ბევრი კურსდამთავრებული დღესაც დიდ მხარდაჭერას უცხადებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და სტუდენტებს. ჩვენ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ალმა-მატერზე“.

შეხვედრებზე აუდიტორიას რამდენიმე პრეზენტაცია შესთავაზეს.

თსსუ-ის კანცლერის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე ბუაჩიძემ სტუდენტებს გააცნო თსსუ-ის ინფრასტრუქტურაში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები.

დასრულებული პროექტებიდან ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის ფარგლებში მიშენებული პანორამული ლიფტი მესამე სასწავლო კორპუსზე.

სტუდენტებს გააცნეს, რომ დასრულდა თეატრალური დარბაზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი; გარემონტდა მესამე კორპუსში სპორტული დარბაზი; მიმდინარეობს მეორე კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები; გარემონტდა მერვე სართული ადმინისტრაციულ კორპუსში; გრძელდება თსსუ-ის კლინიკების აღჭურვა სამედიცინო აპარატურით. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში დამონტაჟდა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი, ხოლო თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში - კომპიუტერული ტომოგრაფი, ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტია კლინიკური და საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფის თვალსაზრისით.

ბატონმა ალექსანდრემ ისაუბრა იმ პროექტებზეც, რომელთა განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, მათ შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიური კლინიკის ტერიტორიაზე მაღალი სტანდარტების პალიატიური მზრუნველობის ცენტრის მშენებლობასა და მისი შესაბამისი საკადრო რესურსითა და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფაზე. ეს პროექტი რამდენიმე დღის წინ საქართველოს და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში, „საქართველოში ბავშვთა გრძელვადიანი პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარების შესახებ“ ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდება.

რაც შეეხება თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, თსსუ-ში მათი დანერგვისა და გამოყენების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ. მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება სასწავლო პროცესის მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და დაწვრილებით აღუწერა სტუდენტებს ამ მხრივ რა ეტაპაზეა მართვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

სტუდენტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს თსსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ირინა კაპეტივაძისა და საერთაშორისო პროგრამა „ERASMUS+“-ის კოორდინატორის, ნინო კანდელაკის, პრეზენტაციები. მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე უცხოეთში სტაჟირებასა და სწავლასთან დაკავშირებით.

უაღრესად საინტერესო გახლდათ სტუდენტების შენიშვნებისა და წინადადებების მოსმენა სასწავლო პროცესთან, ინფრასტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებით. ბატონი ზურაბ ვადაჭკორია დიდი ყურადღებით უსმენდა თითოეულ გამომსვლელს და ინიშნავდა საკითხებს რეაგირებისთვის.

რექტორმა სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა თსსუ-ის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მისაღებად მიმდინარე პროცესებზე.

მან თავად წარუდგინა აუდიტორიას სტუდენტების ანონიმური შენიშვნები და მოთხოვნები, რომელსაც რეგულარულად აგროვებს და სწავლობს თსსუ-ის ხარისხის მართვის სამსახური.

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, აუდიტორიას განუცხადა, რომ არცერთი საკითხი არ დარჩება ყურადღების და რეაგირების გარეშე. სტუდენტებმა კმაყოფილება გამოხატეს ასეთი გულწრფელი და გულახდილი დიალოგის შესაძლებლობის გამო და მადლობა გადაუხადეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ზრუნვისა და თანადგომის მზადყოფნისთვის.

დიაბეტის მსოფლიო დღე თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში

14 ნოემბერი – დიაბეტის მსოფლიო დღე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, ტრადიციულად, საზეიმოდ აღინიშნება. თარიღი უკავშირდება ფრედერიკ გრანტ ბანტინგის, ინსულინის აღმომჩენის სახელს.

კლინიკის ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტის (ხელმძღვანელი პროფესორი მარინა გორდელაძე) ორგანიზებით, მოეწყო შეხვედრა დიაბეტიან ბავშვებთან და მათ მშობლებთან. უცხო თვალისთვისაც კარგად შესამჩნევი გახლავთ ამ მაღალპროფესიული გუნდის დიდი მცდელობა, ენთუზიაზმი და პაციენტების საპასუხო სიყვარული მათ მიმართ; კლინიკაში შესვლისთანავე მხიარული განწყობა იგრძნობოდა – ისმოდა საბავშვო სიმღერები, იყო ცისფერი ბუშტების და ბაფთების (როგორც შაქრიანი დიაბეტის სიმბოლო) სიმრავლე, რომელიც კლინიკის ყველა თანამშრომელს და სტუმარს ეკეთა.

როგორც პროფესორმა მარინა გორდელაძემ აღნიშნა, ეს დღე კიდევ ერთი შეხსენებაა ქვეყნების მთავრობების, ჯანდაცვის ორგანოების მესვეურების, ექიმების მიმართ, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა, იზრუნონ ამ კატეგორიის ბავშვთა ჯანმრთელობაზე. დღეისთვის, საქართველოში მოქმედი სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით, ყველა პირობაა შექმნილი, რომ პაციენტმა მიიღოს საჭირო და აუცილებელი სამედიცინო დახმარება – უფასოდ მოთავსდეს სტაციონარში, ჩაიტაროს ყველა საჭირო კვლევა და უზრუნველყოფილი იქნეს მაღალხარისხიანი პრეპარატებით, რომელიც სრულფასოვანი ჯანმრთელობის გარანტიაა, რაც ხელმისაწვდომი არაა ბევრი ქვეყნისთვის.

–,,მსოფლიო ხელიხელჩაკიდებული უნდა გაერთიანდეს დიაბეტის გარშემო“ — სწორედ ამ დევიზით შეიკრიბნენ საზოგადოების წარმომადგენლები იმ დღეს კლინიკაში, რომელთაც მიესალმა და შემდგომი წარმატებები უსურვა კლინიკის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ლია ძიძიგურმა. მან აღნიშნა, რომ უდიდესია ამ სასიკეთო საქმეში ქალბატონ მარინა გორდელაძის წვლილი, რომელმაც შექმნა ბავშვთა დიაბეტის ცენტრი საუკეთესო გუნდით, რომელიც ყველაფერს აკეთებს დიაბეტიან ბავშვთა ჯანმრთელობისთვის. მან მიმართა პაციენტებს : — ,,ეს თქვენი სახლია, სადაც სიყვარულით გელიან ჩვენი ექიმები, ქ-მარინა კი თითოეული თქვენგანის მეორე დედა, რომლის დიდ მზრუნველობას და ყურადღებას კარგად გრძნობს ყველა თქვენგანი“. მანვე საზოგადოებას ამცნო, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში სულ ახლახან დიდი წარმატებით შედგა წიგნის – ,,შაქრიანი დიაბეტი ბავშვებსა და მოზარდებში“ – პრეზენტაცია. გამომსვლელმა მიულოცა ქალბატონ მარინას, ავტორთა კოლექტივს და საზოგადოებას უაღრესად საჭირო ნაშრომის გამოცემა.

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ისაუბრა რა კოლექტივის მუდმივ მზაობაზე, აღმოუჩინოს მაქსიმალურად ეფექტური და დროული დახმარება პატარა პაციენტებს, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა პაციენტებისა და მათი მშობლების ინფორმირებულობისა და დაავადების მოვლის მოტივაციაზე, რაც მათ ექმნებათ კლინიკის ,,დიაბეტის სკოლაში“ (ხელმძღვანელი მარიამ ფხალაძე) –„მხოლოდ განათლება დაავადების შესახებ აძლევს პაციენტს საშუალებას, სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროს დიაბეტთან ერთად“.

აფხაზეთის მთავრობის სახელით შეკრებილებს მიესალმა აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველი, მანონი გოგუა. აღნიშნა აფხაზეთის მთავრობის დიდი წვლილის შესახებ ბავშვთა მკურნალობის საქმეში, მან მადლობა გადაუხადა კლინიკის დირექტორს, დეპარტამენტის უფროსს, ასევე, ენდოკრინოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელს, ეკატერინე ფაცაციას, იმ საქმიანობისთვის, რასაც ისინი ეწევიან აფხაზეთის მკვიდრთა მკურნალობის თვალსაზრისით.

მშობლების წინაშე საინტერესო ინფორმაციით წარდგა თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ბონის უნივერსიტეტის ჰოსპიტალის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი, დოქტორი მიხაელ ლენტცე, რომელიც წლებია მუშაობს თსსუ-ის ჟვანიას პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში და მხარში უდგას ქართველ კოლეგებს. მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს ორი აუტოიმუნური დაავადების (დიაბეტი და ცელიაკია) მქონე პაციენტთა თანამედროვე დონეზე კვლევა, მკურნალობა და დაკვირვება. მან ისაუბრა დიაბეტის და ცელიაკიის ურთიერთკავშირის წარმოშობის, განვითარების და მკურნალობის გზებზე. პროფესორმა ლენტცემ უპასუხა პაციენტთა შეკითხვებს.

დეპარტამენტის დიდმა მეგობარმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ, ბავშვებს უსახსოვრა თავისი ზღაპრების წიგნი ავტოგრაფით. სწორედ მისი დამსახურებაა დიაბეტის ცენტრში ბიბლიოთეკის გახსნა.

საზოგადოებას, ასევე, მიესალმნენ გვანცა გასვიანი — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის კორდინატორი, პროფესორი რამაზ ყურაშვილი — საქართველოს დიაბეტის ასოციაციის თავმჯდომარე, ასევე, ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები, რომლებმაც საინტერესო საჩუქრები მოუმზადეს ბავშვებს –კომპანია – ,,ნიუ ჯორჯიას“ მენეჯერმა, ნათია ფირცხალაიშვილმა, პაციენტებს საჩუქრად გადასცა ახალი დანამატი – ,,გლუკოზანი“, რომელიც მოსახერხებელია ჰიპოგლიკემიური მდგომარეობის კუპირებისთვის: ფარმაცევტული კომპანია –„ვოლმარკის“– ანიმატორებმა კი, „პაწაწინა მარსელების“ სახით, მხიარულება შემოიტანეს ზეიმზე. კომპანიამ ბავშვებს, აგრეთვე, გადასცა დიაბეტური ტკბილეული, სასკოლო ნივთები, ბუშტები. ბავშვებს ყოველთვის გაახსენდებათ ეს დღე. მათ კომპანია –„დენკ ფარმისგან“ საჩუქრად მიიღეს ამ დღის ლოგოთი დამშვენებული საჩუქრები.

ბოლოს, კლინიკის კრიტიკული მედიცინისა და ემერჯენსის განყოფილების ექიმებს და საშუალო სამედიცინო პერსონალს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით დიაბეტიან ბავშვთა მკურნალობის საქმეში, საქართველოს პედიატრ ენდოკრინოლოგთა ასოციაციის (პრეზიდენტი, პროფესორი მ. გორდელაძე) და კლინიკის სახელით, გადაეცათ სერტიფიკატები. გამოვლინდა, ასევე, ,,ყველაზე მოწესრიგებული დიაბეტიანი მოზარდი“. შეხვედრა დამთავრდა კლინიკის ეზოში უზარმაზარი ფრანისა და ფერადი ბუშტების გაშვებით, რომლითაც ბავშვები თსსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითმა კლუბმა – „ვიტალისმა“ დაასაჩუქრა.

მანანა ფხალაძე
დარეჯან კომლაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უცხოელ სტუდენტთა სწავლების კუთხით ლიდერია!

საქართველოში უცხოელ სტუდენტთა რიცხვი 50%-ით გაიზარდა, რომლის ერთ-ერთ მიზეზად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებული პროექტი - „ვისწავლოთ საქართველოში“ სახელდება. პროექტის ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტებმა ხუთ საერთაშორისო გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა, რომლის მიზანი საქართველოს საგანმანათლებლო პოტენციალისა და ეკონომიკური მდგრადობის განვითარებაა.

უცხოელ სტუდენტთა სწავლების მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს, სადაც უცხოენოვანი პროგრამები უკვე 21 წელია ფუნქციობს. უნივერსიტეტში ამჟამად 65 ქვეყნის 2300-ზე მეტი მოქალაქე სწავლობს, მათ შორის, აზიის, აფრიკის, ევროკავშირის ქვეყნებიდან და აშშ-დან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარების სურვილს ყოველწლიურად უფრო მეტი უცხოელი გამოთქვამს, მიუხედავად სწავლის საფასურისა, რომელიც ყველაზე მაღალია ქვეყნის, რეგიონის მასშტაბით და აღმოსავლეთ ევროპის მსგავსია. აღნიშნულის მიზეზი უნივერსიტეტის დიპლომის საერთაშორისო ცნობადობა, სწავლების მაღალი ხარისხი და კვალიფიცირებული კადრებია.

გრენობლის მენეჯმენტის და აღსრულების აკადემიის „UniMan”-ის დელეგაცია თსსუ-ში

2017 წლის 30-31 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის - „უცხოელი პროფესორების ვიზიტები თბილისში“ ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია გრენობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტის და აღსრულების აკადემიის „UniMan”-ის დელეგაცია: ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ბრაიან ქროსმანი, ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტის პროფესორი, რობერტ მიჩიტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარიამ წითლანაძე-ჟოკაი და ფრანგულის სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სებასტიან ჟოკაი.

პროფესორებმა: ბრაიან ქროსმანმა და რობერტ მიჩიტმა თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტის“ სტუდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები ჰოსპიტალური მენეჯმენტის აქტუალურ საკითხებზე. სალექციო ნაწილის შემდგომ სტუმრებმა შეხვედრა გამართეს ქ.თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან.

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს, სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ტრადიციული საღამო მოაწყო აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან წარმატებებით აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აღნიშნავს ამ თარიღს და სხვა ღონისძიებებთან ერთად, მონაწილეობას იღებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ორგანიზებულ საზეიმო შეხვედრაში. საღამო გახსნა და აუდიტორიას მიესალმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა. მან აღნიშნა იმ ისტორიული ფაქტების შესახებ, რომელმაც განაპირობა 17 ნოემბრის სტუდენტთა საერთაშორისო დღედ ქცევა და სტუდენტებს თავისუფლების და დემოკრატიის ყველაზე დიდი ბერკეტი უწოდა. ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ და სტუდენტებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ვახტანგ ყოლბაიამ, მთავრობის წევრებმა და მინისტრებმა.

სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გადასცა საჩუქრები.

განსაკუთრებული საჩუქრები მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმაც თავისი წარმატებული დევნილი სტუდენტებისთვის, რომლებიც თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს. ლილი კონტუაძეს, ნუკრი ქარდავას, ბექა ბაშარულს; ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტს, ანა შენგელიას; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებს. აკაკი ფიფიას და ვანო ბულისკერიას; საექთნო საბაკალავროს სტუდენტს. ლანა გუჩუას.

ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი განსაკუთრებით ამაყობს თავისი სტუდენტებით, რომლებიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მომზადებული, მოტივირებული და ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. მადლობა მოახსენა აფხაზეთის მთავრობას გამოჩენილი ყურადღებისთვის და სტუდენტებს - შრომისთვის, რომელიც აისახა კიდეც მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებს საჩუქრები გადასცა ღონისძიების სპონსორმა თი ბი სი ბანკმა.

როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ეს ყურადღება და კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობასა და მოტივაციას გრძნობენ თავისი მომავალი პროფესიის, საქმიანობის სწორი წარმართვის თვალსაზრისით.

ვარდისფერი ოქტომბერი

ვარდისფერი ოქტომბერი, ანუ ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების თვე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც აღინიშნება. წელს, საკმაოდ ლამაზი და საინტერესო აქტივობებით გამოირჩეოდა ეროვნული სკრინინგის ცენტრი. IFMS-ს (International Federations of Medical Students Asossiations) ლოკალური კომიტეტის - SCOR-ს ორგანიზებით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, ცისფერ დარბაზში გაიმართა კონფერენცია - „მიდი სკრინინგზე, გაუსწარი დროს!“

კონფერენციაზე თსსუ-ის ვიცე-რექტორი, ონკო-მამოლოგი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე მრავალფეროვანი მოხსენებით წარდგა. კლინიკური შემთხვევების გაცნობამ შეკრებილთ დაანახა ძუძუს კიბოს სიმძიმე და მის შესახებ ინფორმაციის არსებობის აუცილებლობა. სტუდენტებით გადაჭედილ ცისფერ დარბაზში შეკრებილნი დიდი ინტერესით უსმენდნენ მის გამოსვლას.

ღონისძიების სტუმრები - ეროვნული სკრინინგ-ცენტრის წარმომადგენლები, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, იოსებ ბარნაბიშვილი და სამედიცინო სამსახურის უფროსი ლევან ხოხობაშვილი გახლდნენ, რომელთაც ისაუბრეს სკრინინგის მნიშვნელობასა და ადრეულ დიაგნოსტიკაზე. სტუდენტებისთვის მრავალი საინტერესო საკითხი წარმოჩინდა, ითქვა იმის შესახებ, რომ ძუძუს კიბოს სკრინინგი საქართველოს მოქალაქეებისთვის სრულიად უფასოა თუ ასაკობრივ ზღვარს აკმაყოფილებს. ბატონმა იოსებმა ისაუბრა, ასევე, სხვა დაავადების სკრინინგსა და სამომავლო გეგმებზე. კონფერენციის დასასრულს, გაიმართა კინო-ჩვენება, წარმოდგენილი SCORA-ს წევრების მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმით, სკრინინგის მნიშვნელობასა და გვიანი დიაგნოსტიკის შედეგებზე. ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა. დამსწრეთ მიიღეს ახალი და საჭირო ინფორმაცია, SCORA კი მომავალი პროექტებისთვის და აქტივობებისთვის ემზადება.

მარიამ ბერიკაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
მე-7 სემესტრის სტუდენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა მრავალფეროვანი ღონისძიებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. 20 ოქტომბერს, კლუბ „RW-ში ტრადიციული სტუდენტური წვეულება გაიმართა. შეკრებილთა შორის პირველსემესტრელები ჭარბობდნენ, რომლებიც ახლახან შემოუერთდნენ თსსუ-ის დიდ, მეგობრულ ოჯახს. Welcome party ორგანიზებულობით, ჰარმონიული და მეგობრული გარემოთი გამოირჩევა, იგი საშუალებას გვაძლევს, დამღლელი დღეების შემდეგ გავხალისდეთ, ელექტრონული მუსიკის ფონზე განვიტვირთოთ, გავიცნოთ ჭკვიანი და საინტერესო ადამიანები და სტუდენტური ცხოვრება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გავხადოთ. თსსუ-ის სტუდენტური თვითმართველობა კი პირველსემესტრელების აქტიური მონაწილეობით, კვლავაც ბევრ ორიგინალურ პროექტს გვპირდება.

თათია კაკულია,
მედიცინის ფაკულტეტის მე-2
სემესტრის სტუდენტი

LOVING SOMEONE WITH ALZHEIMER’S DISEASE

Loving a person is easy- we do it everyday. We love our parents for how they support up through everything, we love our siblings for the healthy rivalry they are, we love our friends for literally being through thick and thin with us, we love our peers for their constructive criticism, we even love strangers for how they exchange hellos. You see, loving a person is easy because it’s not the physical form, the colour, the race or the religion you’re loving- you love them for their personalities. So, what if I asked a question- what if I asked you if you could love a person who has lost their personality?

With Alzheimer’s you notice how every memory becomes as distant and faint as the last light of day, you watch the most ordinary objects become strangers to the patient, you see your grandmother forgetting your name, and you see how no one no longer knows what’s real and what’s only an illusion. A patient with Alzheimer’s come with increased demands. You become their eyes and their ears and you walk around with an extra memory because they can no longer remember if they had their meals or took their medication. You become two people living in one body- and sometimes you might even feel like this other person is sucking the life out of you while stealing all your time and energy. They no longer know anything about the world, they no longer know you… and how do you love someone in spite of all of this?

It’s easier said than done but people with Alzheimer’s once had the same fears that you do now- they were afraid of failing an exam, they were nervous about talking in front of a crowd, they were afraid of being judged… so the last thing you should do is to judge them for the inevitable situation they’ve been put in. They don’t like having a faulty memory any more than you do, so don’t carry them like a burden upon your shoulders. They might not remember but they bring along their own worries too… They loved you, loved someone else… so love them just the same, like you’d want to be if you were the one who could no longer remember which way to turn to go back home.

Alzheimer’s is a time warp, and if you love someone with Alzheimer’s you’d find yourself skipping decades- you’d be a five year old and a fifty year old, both at the same time. If you love someone with Alzheimer’s your life wouldn’t be the easiest, but look at that person again- your grandmother, your mother, your neighbor, your favorite teacher- look at the innocence that this disease brings back, how their eyes shine when they talk about their childhood crushes, reliving all those special moments all over again, watch them grow younger in their minds, and watch them giving you new definitions even if they can’t recognize you anymore. Love them for who they’re striving to be, for who they still hold on to even when they don’t know who they are anymore. Because when you love someone with Alzheimer’s disease, you’re letting yourself love someone who doesn’t know how to love themselves.

SITHY ZULAIHA ZUHAIR
MEDICAL FACULTY
5TH YEAR

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის VI სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ზივზივაძემ

სხვაგვარად მედიცინის განვითარებას ფეხს ვერ ავუწყობთ

ქალბატონი ირმა კვიცარიძე უცხოეთში მოღვაწე ის ქართველი მედიკოსია, აქტიურად რომაა ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობაში ევროპის კლინიკებთან. დიდია მისი როლი და ხელშეწყობა თსსუ-ისა და ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკებს შორის მემორანდუმის მომზადებაში, რაც ითვალისწინებს ერთიანი საექთნო პროგრამის შექმნას და მის სწავლებას. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში ხდება ქართველი სტუდენტების და თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომელთა დახელოვნება ინსბრუკის კლინიკაში.

ქართულ-გერმანული ურთიერთობების ფარგლებში გამართულ საუნივერსიტეტო დღეებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ სტუმრებს შორის ქალბატონი ირმაც იმყოფებოდა, რომელსაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ

– ქალბატონო ირმა, ალბათ ერთ-ერთი პირველი ბრძანდებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან, პროფესიული საქმიანობა ევროპაში რომ დაიწყეთ. ავსტრიაში, ინსბრუკის წამყვან კლინიკაში აღიარებულ კლინიცისტებთან ერთობლივი საქმიანობა, ფრიად, საპასუხისმგებლო საქმეა; თქვენ ეს შეძელით და დღეს უცხოელ კოლეგებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობთ.

საინტერესო იქნება თქვენი პირველი დასავლეთევროპული ნაბიჯების შესახებ გვესაუბროთ.

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ორდინატურაში ჩავბარე, პარალელურად, უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ მანანა ქუთელიას, რჩევით, ჩავერთე ქალაქ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკასთან არსებულ გაცვლით პროგრამაში, რომელიც რუსი დიპლომატების შთამომავალმა, პრიმარიუსმა, გეორგ სიდოროვმა, დააფუძნა. 90-იანი წლების ძნელბედობის ჟამს ეს მეცენატი ადამიანი ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნიდა ქართველ კოლეგებს; მისი პროგრამით, ავსტრიაში პრაქტიკა და გადამზადება 80-ზე მეტმა ქართველმა ექიმმა გაიარა. პირადად მე, ვიმყოფებოდი ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში, შემდეგ კი ჩავერთე მის სამეცნიერო კვლევით-სამუშაო ჯგუფში და სამი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით მნიშვნელოვან კვლევას პრეეკლამპსიისა და ეკლამპსიის შესახებ. გავიარე ნოსტრიფიკაცია, ჩავაბარე ცხრა გამოცდა, რის შემდეგ დავიწყე მუშაობა ნატერსიის ონკოპულმონოლოგიურ კლინიკაში. იმ პერიოდში ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში, რომელიც რეგიონის უმსხვილესი სამედიცინო დაწესებულებაა და წელიწადში მილიონზე მეტ პაციენტს ემსახურება, განვითარება დაიწყო ონკოლოგიური დაავადებების სხივური თერაპიის განყოფილებამ, პროფესორ პეტერ ლუკასის ხელმძღვანელობით. ძალიან დამაინტერესა ამ შედარებით ახალმა მიმართულებამ და გადავწყვიტე, დავვუფლებოდი მას, რაც შვიდი წლის განმავლობაში გაგრძელდა. უნდა აღვნიშნო, რომ იქ ძალიან დამეხმარა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ფუნდამენტური ცოდნა. სხივური თერაპია ექიმისგან მრავალმხრივ განათლებას ითხოვს, დაწყებული ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საფუძვლებიდან, დამთავრებული რადიოლოგიითა და ქირურგიით.

– ამჟამად ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის სხივური თერაპიის და რადიაციული ონკოლოგიის ცენტრში მუშაობთ. სხივური მედიცინა მომავლის მედიცინაა. მისი საშუალებით ხელმისაწვდომია და ალბათ სამომავლოდ კიდევ მეტად გახდება შესაძლებელი უფრო და უფრო მეტი მძიმე დაავადების მქონე პაციენტის განკურნება თუ მათთვის სიცოცხლის გახანგრძლივება. როგორც თქვენი ლექციიდან შევიტყვე, კლინიკაში აპრობირებული უახლესი მიდგომების გამოყენებით, ხშირ შემთხვევაში, რთული ქირურგიული ოპერაციების ნაცვლად, მაღალეფექტურად გამოიყენება დამზოგველი რადიოთერაპიული მანიპულაციებით მკურნალობა.

– ამჟამად ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიოონკოლოგიის განყოფილებაში სტერეოტაქსიისა და რადიოქირურგიის ჯგუფებს ვხელმძღვანელობ. ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ეს მიმართულებები პერსპექტულ და პროგრესირებად დისციპლინებად მიმაჩნია. უნდა აღვნიშნო, რომ ავსტრიაში საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევის სწორად გააზრებულმა პოლიტიკამ მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთი-ორად გაზარდა და უზრუნველყო ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეულ სტადიაზე აღმოჩენის მაღალი მაჩვენებელი, რამაც ამ დაავადებისგან სრული განკურნება 80%-მდე გაზარდა. მიუხედავად ამისა, გვიან სტადიებზეც, ექიმების განუწყვეტელი გადამზადებისა და ტექნიკური გადაიარაღების ფონზე, კარგი შედეგები გვაქვს. საგანგებოდ ხაზს ვუსვამ იმ ფაქტორს, რომ ეს შესაძლებელია საუნივერსიტეტო კლინიკის ფარგლებში, რადგანაც, თუ ევროპულ სტანდარტებზე ვსაუბრობთ, სახელმწიფო დახმარების გარეშე მრავალმილიონიანი ინვესტირება, როგორც ტექნოლოგიებში, ისე პერსონალის სწავლა-განვითარებაში, სხვაგვარად შეუძლებელია და ვერანაირი კერძო სტრუქტურა მას ვერ გასწვდება, რადგანაც ისინი მოგებაზე არიან ორიენტირებულნი. ასევე, აუცილებელია, სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდეს მკურნალობის საერთაშორისო სტანდარტებს და აქაც, ავსტრიის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, სახელმწიფო საუნივერსიტეტო კლინიკას წამყვანი როლი ეკუთვნის.

რაც შეეხება რადიოქირურგიას, ეს დინამიურად განვითარებადი მიმართულებაა, მან, ფაქტიურად, ჩაანაცვლა ქირურგიული მკურნალობის ბევრი მეთოდი, ის უფრო ეფექტური და დამზოგველია და ნაკლები გართულება მოჰყვება.

– თქვენ მშობლიური სამედიცინო უნივერსიტეტის ქომაგი ბრძანდებით საერთაშორისო ასპარეზზე – გვერდში უდგახართ ახალგაზრდა თანამემამულეებს სამომავლო პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, ბევრს აკეთებთ იმისთვის, რომ ისინი კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და გახდნენ წარმატებულნი. ჩვენთან სტუმრობისას, ირგვლივ მრავლად გეხვიათ აქაური სტუდენტები და რეზიდენტები, რომლებმაც თქვენი მეშვეობით ავსტრიის კლინიკაში ალბათ ბევრის შესწავლა-ათვისება მოახერხეს. რას გვეტყოდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ესოდენ აუცილებელი და საჭირო სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივაზე, კერძოდ, ქაართულ-ავსტრიული საექთნო პროგრამის შესახებ.

– მიმაჩნია, რომ ავსტრიული და გერმანული ჯანდაცვის სისტემა საუკეთესოა მსოფლიოში, რადგანაც ის პაციენტზეა ორიენტირებული. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ვისაც სურს, დაეუფლოს ექიმის პროფესიას, ისწავლოს გერმანული ენა. ხშირად ვოცნებობ, მქონდეს ჯადოსნური ჯოხი, რომ შევძლო იქაური კლინიკის თვალის დახამხამებაში საქართველოში გადმოტანა, მაგრამ ეს ოცნებაა, რეალობაში კი ვცდილობ, ჩემი მცირედი წვლილი შევიტანო გეორგ სიდოროვისა და მანანა ქუთელიას წამოწყებულ საქმეში; პირველი ნაბიჯი კი ამ მხრივ ექთების ავსტრიული პროგრამით მომზადებაა. ვთვლი, რომ საქართველოში ამ პროფესიას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ექთანი და სამედიცინო-ტექნიკური ასისტენტი ყველაზე მეტ დროს ატარებს პაციენტთან თუ თანამედროვე ტექნოლოგიების მომსახურებაში. ამ რგოლის გაძლიერება მნიშვნელოვანია ქართული მედიცინის განვითარებისთვის. ამიტომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ექთნებისა და სამედიცინო პერსონალისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შექმნას. პროგრამა პროფესორ მანანა ქუთელიას სახელს ატარებს. სწავლება ავსტრიული პროგრამით ქართულ-ავსტრიულ საექთნო ფაკულტეტზე მიმდინარეობს. ქართველ სტუდენტებს შეეძლებათ უცხოეთში პრაქტიკის გავლა და ევროპული დიპლომის მიღება. პერსპექტივაში მათ, ასევე, შეეძლებათ ლეგალურად იმუშაონ გერმანულენოვან ქვეყნებში ნოსტრიფიკაციის გარეშე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ღვაწლის შესახებ ამ პროექტის განხორციელებაში, ბატონმა ზურამ დიდი შრომა გასწია ამისთვის. ჩემი მხრივ კი დავამატებდი, რომ ამ პროგრამის ფარგლებში ხდება ქართველი სტუდენტებისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმების დახელოვნება ინსბრუკის კლინიკაში. ამიტომაც კიდევ ვეტყვი სტუდენტებს – ისწავლეთ და დახვეწეთ გერმანული ენა.

– წარმატება გვინდა გისურვოთ პროფესიულ საქმიანობაში. ვიცით, რომ უცხოეთში დიდ ქართულ საქმეს აკეთებთ – საქართველოს სჭირდება ერუდირებული და თანამედროვედ განსწავლული სამედიცინო კადრი. უდაოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოეთში ცოდნაშეძენილი და იქ დასაქმებული ქართველების ცოდნა-გამოცდილების ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის სასიკეთოდ გამოყენებას.

– მიმაჩნია, რომ საქართველო და მისი კულტურა ევროპის განუყოფელი ნაწილია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამფუძნებლების ბიოგრაფიას რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ უმეტესობა ევროპაში განსწავლული და ცნობილი მეცნიერი იყო. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დღეს უცხოეთში მოღვაწე უამრავ სპეციალისტს თავისი წვლილის შეტანა შეუძლია ამ ბუმბერაზების მიერ წამოწყებულ საქმეში. 21-ე საუკუნეში მედიცინის განვითარებას სხვაგვარად ფეხს ვერ ავუწყობთ. დიდ მადლობას ვუხდი ყველა ჩემს ქართველ და უცხოელ კოლეგას, ვინც დღეს დაუღალავად შრომობს ჩვენი ქვეყნისთვის.

ესაუბრა
დარეჯან კომლაძე

პროფესია, რომელიც ლეგენდებს ქმნის

გასული საუკუნის 80-იან წლებში ერთი სამედიცინო შემთხვევა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, კერძოდ, მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში ქირურგმა რამაზ დათიაშვილმა ლიტველ გოგონას კომბაინისგან მოკვეთილი ორივე კიდურის ოპერაცია ჩაუტარა. ოპერაცია 12 საათი მიმდინარეობდა. მაშინ, მისი უნიკალურობიდან გამომდინარე, ეს გმირობის ტოლფასი იყო. ასე შეაფასა იმდროინდელმა პრესამ. პაციენტს ხანგრძლივი რეაბილიტაციის კურსი დასჭირდა, დღეს იგი სრულფასოვანი ადამიანი, ჩვეულებრივი ცხოვრების წესით ცხოვრობს, მუდმივი სატელეფონო კონტაქტი აქვს თავის ექიმთან, რომელმაც მას — 3 წლის გოგონას, სიცოცხლე აჩუქა... რასა, დღეს თვითონაა დედა და გაათმაგებულად იცის სიცოცხლის ფასი, მადლიერია ექიმი რამაზ დათიაშვილის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რამაზ დათიაშვილის წაკითხულმა ლექციამ პლასტიკური ქირურგიის საკითხებზე, წარმოდგენილმა სლაიდებმა, შეკრებილთა აღტაცება გამოიწვია, იმდენად დახვეწილი ქირურგიული ტექნიკით იყო შესრულებული ყოველი მათგანი.

უდიდესი შრომის შედეგია ასეთი წარმატება, ლიტველი გოგონა - რასას შემთხვევამ, ბატონ რამაზს სახელი მოუხვეჭა მთელ მსოფლიოში, მაგრამ მას უნდა ემრავლებინა ასეთი გამარჯვებები (მოკვეთილი კიდურების აღდგენა ქირურგიული პლასტიკით ბევრჯერ გაუკეთებია აშშ-ში), ამას ადამიანის ჯანმრთელობის მსახურთა რიგებში ღირსეული დგომა ავალებდა, უნდა ეჩვენებინა კოლეგებისთვის, რომ ეს შემთხვევითი გამარჯვება არ იყო. რასაც პროფესორ რამაზ დათიაშვილის ცხოვრება და მისი საექიმო მოღვაწეობა ადასტურებს.

სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს, იგი, სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, ეწვია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და პირველკურსელებს მიულოცა პროფესიული არჩევანი.

ვისარგებლეთ შემთხვევით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ ნიუ-ჯერსის (აშშ) უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორ რამაზ დათიაშვილს:

— დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე, მსოფლიოში ცნობილი და წარჩინებული ქირურგი ბრძანდებით. თქვენ მიერ წარმატებით ჩატარებულმა ოპერაციამ (რასა) მსოფლიოში აღიარება მოგიტანათ და იქნებ საბოლოოდ განსაზღვრა კიდეც სამოღვაწეო გზა პლასტიკურ ქირურგიაში. მისასალმებელია თქვენი სტუმრობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თქვენი ლექციები დიდი გამოცდილების გაზიარება, ერთდროულად საინტერესო და საჭირო, როგორც სტუდენტებისთვის, ისე ექიმებისთვის. რას გვეტყვით თქვენ ვიზიტზე?

— სამშობლოდან მრავალწლიანი განშორების შემდეგ ჩამოვედი საქართველოში. ყველაფერი განახლებული და სასიკეთოდ შეცვლილი დამხვდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, სტუმრის რანგში, პირველსემესტრელთა საზეიმო შეკრებაზე მიმიწვია. სასიამოვნო განცდა დამეუფლა, გამახსენდა ჩემი პირველი სექტემბერი, რომელიც დიდ სიხარულთან იყო დაკავშირებული, სწავლის დაწყების პირველ დღეს ჩაცმული თეთრი ხალათი დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა. მადლობა წარსულში დაბრუნებისთვის. რაც შეეხება თსსუ-ში ყოფნისას ჩემს პირველ შთაბეჭდილებებს, სასიამოვნო იყო ბატონი რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას და აკადემიური პერსონალის გაცნობა. პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში სამედიცინო პერსონალის და სტუდენტებისთვის წავიკითხე რამდენიმე ლექცია პლასტიკურიქირურგიაში. მესიამოვნა შეკრებილთა ინტერესი, გამეხარდება, თუ ჩემი ლექციებით პოზიტიური განწყობა დავტოვე დამსწრე საზოგადოებაში.

— რას ურჩევდით მომავალ ექიმებს, რთული პროფესიის დაუფლების გზაზე?

— ახალგაზრდებს ვურჩევ, მაქსიმალურად გამოიყენონ სტუდენტური წლები ცოდნის შესაძენად, პროფესიული სიმდიდრე საფუძველია შემდგომი ზრდისა, თქვენ მომავალში საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დამცველნი ხართ, ეს კი როგორც საპატიო, ამავე დროს, საპასუხისმგებლო წოდებაა.

— როგორი იქნება თქვენი თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან, გეგმავთ თუ არა ოპერაციების ჩატარებას საქართველოში, კერძოდ, თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში?

— თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მდიდარი ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში და, რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია, ვითანამშრომლო თქვენთან, წავიკითხო ლექციები, ჩავატარო ოპერაციები, უცხოეთის კლინიკებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება სიამოვნებით გავუზიარო, როგორც ახალგაზრდებს, ასევე, კოლეგებს. ეს ჩემი მოვალეობაა, მე ხომ საქართველოში დავიბადე, აქედან გავედი მსოფლიო ასპარეზზე, რომელმაც არაერთი პროფესიული წარმატება მომიტანა, რაც ადამიანის სრულფასოვანი სიცოცხლის ხარისხს უკავშირდება.

მსოფლიოში აღიარებული და წარმატებული პლასტიკური ქირურგი, პროფესორი რამაზ დათიაშვილი სამომავლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობას გეგმავს. რაც მისასალმებელი და სასიხარულოა. სიამოვნებით ველოდებით სამშობლოში, რომლის კარი ყოველთვის ღიაა საამაყო შვილებისთვის და კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ!

ესაუბრა
მანანა ფხალაძე

მნიშვნელოვანი საჯარო ლექცია

3 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განახლებულ თეატრალურ დარბაზში ანშლაგით ჩაიარა უკრაინის ესთეტიკური სტომატოლოგიის აკადემიის დამფუძნებლის, პოლტავის სტომატოლოგიური კლინიკა „სტუდია აპოლონიას“ კლინიკური ხელმძღვანელის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, სერგეი რადლინსკის საჯარო ლექციამ - „კბილთა და რესტავრაციების ბიომექანიკა“.

დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ თეატრალურმა დარბაზმა ყველა მსურველი ვერ დაიტია.

სერგეი რადლინსკის სტუმრობა საქართველოში პირველი არ იყო. კბილთა რესტავრაციების მსოფლიო დონის კორიფე, უბადლო სპიკერი და ბრწყინვალე მოქალაქეობრივი მრწამსის მქონე პიროვნება, ქართული სტომატოლოგიური საზოგადოების წინაშე ადრეც წარსდგა და მსმენელი ყოველთვის მოჯადოებული დატოვა. ამჯერადაც, თითქმის ხუთსაათიანი პრეზენტაცია ისეთი მუხტითა და შინაგანი ენერგიით წარმართა, რომ დარბაზი სუნთქვაშეკრული ისმენდა ესთეტიკური სტომატოლოგიის თანამედროვე კონცეფციებსა და მათი პრაქტიკული გადაწყვეტის გზებს.

ლექციაზე მისულ აუდიტორიას მიესალმა და საპატიო უკრაინელი სტუმარი წარუდგინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენმა, სტომატოლოგიის კლინიკისა და სასწავლო-კვლევითი ცენტრის, „უნიდენტის“ ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მარინა მამალაძემ.

სერგეი რადლინსკიმ მადლობა გადაიხადა მიპატიჟებისთვის, გამოხატა დიდი სიყვარული საქართველოსადმი და უაღრესი პატივისცემა ქართველი კოლეგებისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისადმი.

ბატონ სერგეი რადლინსკის ლექცია ერთნაირად საინტერესო აღმოჩნდა როგორც გამოცდილი სპეციალისტებისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის, ისე დამწყები ექიმებისა და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც. პრეზენტაციას ორიგინალური სტრუქტურა ჰქონდა: ერთმანეთს ერწყმოდა ბუნებრივი კბილის მინანქრისა და დენტინის ოპტიკური და ბიომექანიკური თვისებები და ამ მახასიათებელთა იმიტირება პოლიმერული, ფოტოპოლიმერიზაციული მასალებით კბილთა რესტავრირების პროცესში. საგულისხმო იყო ლექციის ძირითადი გზავნილიც - „კბილთა რესტავრირებისას გვახსოვდეს მისი საყრდენი სტრუქტურების ბუნება და ვეცადოთ მივბაძოთ ბუნებას, მაღალ ესთეტიკურ პარამეტრებს მივაღწიოთ კბილის ქსოვილთა მინიმალური დანაკარგით“.

სამედიცინო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, სტუდია „აპოლონიას“ სასწავლო-პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელი ვერა რადლინსკა შეხვდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს, თსსუ-ის სტომატოლოგიური კლინიკების ხელმძღვანელებს, გაუზიარა საკუთარი გამოცდილება დიპლომისშემდგომი გადამზადების მოკლევადიანი კურსების, მასტერ კლასების და ვორქშოფების ჩატარების თაობაზე და სტუდენტებს და რეზიდენტებს საჩუქრად სერგეი რადლინსკის ყველა პრეზენტაციისა და ლექცია-სემინარის 12 დისკიგადასცა.

ქართველმა სტომატოლოგებმა მაღალი შეფასება მისცეს ბატონი სერგეი რადლინსკისა და ქალბატონი ვერა რადლინსკას ვიზიტს: ჩვენ მომსწრე გავხდით იდეალური პრეზენტაციის, მოვისმინეთ ბრწყინვალე კონცეფციები და გავეცანით წარმოუდგენელ კლინიკურ შედეგებს. ეს ვიზიტი ნამდვილად დიდი შედეგის მომტანი იქნება ყველასთვის, ვინც ჩვენი მოსახლეობის სტომატოლოგიურ ჯანმრთელობას ემსახურება.



ქართულ-ინდური ოფთალმოლოგიის დღე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თითქმის საუკუნოვანი ისტორიით, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სამედიცინო სკოლაა და უამრავ უცხოელ სტუდენტს იზიდავს. მოგეხსენებთ, რომ თსსუ-ს უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტში ძალიან ბევრი სტუდენტი წარმატებით სწავლობს ინდოეთიდან. მეორე მხრივ, ბოლო ათწლეულში ძალიან დიდი მიღწევები და წარმატებები აღინიშნება ინდურ ოფთალმოლოგიაში, კერძოდ ოფთალმოქირურგიაში. შესაბამისად, წარმოიშვა აზრი, რომ თსსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტისა და საქართველოს ოფთალმოლოგთა ასოციაციის ინიციატივით ჩატარებულიყო სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონფერენცია „ქართულ-ინდური ოფთალმოლოგიის დღე“ ამ ორ ქვეყანას შორის შემდგომი სამედიცინო ურთიერთობების განვითარების მიზნით.

კონფერენციის ორგანიზება ითავა საერთაშორისო ოფთალმოლოგიურმა კომპანიამ „ppasamy” და მისმა ექსკლუზიურმა დისტრიბუტორმა საქართველოში “Clear Vision LLC”. სწორედ ამ კომპანიამ 2017 წლის 27 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოიყვანა ოფთალმოლოგიის სამი საერთაშორისო დონის პროფესორი ოფთალმოქირურგი ინდოეთიდან. კონფერენცია გახსნეს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ თსსუ-ის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ზაზა ბოხუა და თსსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მერაბ დვალი. მათ აუდიტორიას წარუდგინეს ინდოეთიდან მოწვეული მსოფლიო ოფთალმოლოგიაში ცნობილი და აღიარებული სტუმრები.

კონფერენციამ ჩაიარა საქართველოს ოფთალმოლოგთა ასოციაციის მრავალრიცხოვანი წევრების (100–ზე მეტი ოფთალმოლოგი) დასწრებით. კონფერენციის თემატიკა მოიცავდა თვალის ქირურგიის სხვადასხვა ასპექტებს და მსმენელთა წინაშე მოხსენებებით წარდგნენ: ინდოეთის ოფთალმოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ნატარაჯან სუნდარამი მუმბაიდან, პროფესორი არულმოჟი ვარმანი ჩენაიდან და პროფესორი პანირ სელვამი ეროდედან. საქართველოს მხრიდან მოხსენებები წარადგინეს თსსუ-ის პროფესორმა მერაბ დვალმა, მედიცინის დოქტორმა გიორგი პეტრიაშვილმა და ექიმმა ნიკოლოზ ლაბაურმა. კონფერენციის ფარგლებში მაღალი დონის მოხსენებებისა და საინტერესო დისკუსიის ფონზე განხილულ იქნა თანამედროვე ოფთალმოქირურგიის აქტუალური საკითხები.

აღსანიშნავია, რომ მოწვეული პროფესორები საკუთარ კლინიკებში აქტიურად ახორციელებდნენ და ახლაც ახორციელებენ საქართველოდან ახალგაზრდა ექიმების დახელოვნებას და მათთვის ქირურგიული უნარ-ჩვევების შესწავლას. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მომავალშიც გაგრძელდება და გაღრმავდება მსგავსი თანამშრომლობა, განხორციელდება არაერთი საინტერესო პროექტი და ღონისძიება.

„ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა - X“

28 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო კონფერენცია „ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა - X“ და მასთან შერწყმული პირველი ქართულ-ჩინური სიმპოზიუმი პედიატრიაში, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქსიანის (ჩინეთი) ჯიაოტონგის უნივერსიტეტის დელეგაციამ, პროფესორ ჯიაო ფუიონგის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონფერენცია „ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა - X“ და სიმპოზიუმი ქართველი და ჩინელი მედიკოსების პირველი ერთობლივი მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მედიცინის დარგში სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკულ თანამშრომლობას.

კონფერენცია გახსნეს და საზოგადოებას მიესალმნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, პროფესორი ჯიაო ფუიონგი და თსსუ-ის პედიატრიის მე-2 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ყარამან ფაღავა.

29 ოქტომბერს, სესია ჩატარდა ქალაქ ქუთაისში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ქართველი, ჩინელი, გერმანელი და ირანელი მედიკოსები, ასევე, მოხსენებების თანაავტორები იყვნენ შვეიცარიელი და ბელგიელი მეცნიერები.

კონფერენცია განკუთვნილი იყო პედიატრების, ნეონატოლოგებისა და ოჯახის ექიმებისთვის და მასზე წარმოდგენილი იყო ალერგოლოგიის, ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თერაპიის, დერმატოლოგიის, ფსიქიატრიისა და სექსუალური განვითარების საკითხები. ასევე, ტრადიციული ჩინური მედიცინის გამოყენების ასპექტები.

გერმანელ პროფესორებს თსსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ

2017 წლის 24-27 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გერმანიის დელეგაცია ეწვია: მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ფიურსტენფელდბრუკის კლინიკის ქირურგიული დეპარტამენტის უფროსი ექიმი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი გიორგი გრიგოლია; მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ვაილჰაიმის კლინიკის ზოგადი და ვისცერალური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რაინჰოლდ ლანგი; მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ფიურსტენფელდბრუკის კლინიკის ზოგადი და ვისცერალური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ფრიც შპელსბერგი; მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ლანდსჰუტის კლინიკის სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გეორგიოს მაიმარაკისი; მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ფიურსტენფელდბრუკის კლინიკის ანესთეზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პრივატ დოცენტი ფლორიან ვაისი. სტუმრებს ახლდნენ: ვაილჰაიმის და შონგაუს საუნივერსიტეტო კლინიკების გენერალური მენეჯერი, ბატონი თომას ლიპმანი და ვაილჰაიმის და შონგაუს მხარის გამგებელი, ქალბატონი ანდრეა იოხნერ-ვაისი.

გერმანელმა პროფესორებმა თსსუ-ის სტუდენტებისა და რეზიდენტებისათვის წაიკითხეს ლექციები, ჩაატარეს სონოგრაფიისა და კერვის პრაქტიკული ტრენინგ კურსები (Hands on).

ვიზიტის ფარგლებში, უცხოელმა ლექტორებმა შეარჩიეს გერმანული ენის მცოდნე სტუდენტები გერმანიის საუნივერსიტეტო კლინიკებში სტაჟირების გასავლელად. აღსანიშნავია, რომ თსსუ-ის საპატიო დოქტორის, გიორგი გრიგოლიას ინიციატივითა და ხელშეწყობით, პროფესორები: რაინჰოლდ ლანგი, გეორგიოს მაიმარაკისი, ფლორიან ვაისი და ფრიც შპელსბერგი 2013 წლიდან ორგანიზებას უწევენ თსსუ-ის სტუდენტებისა და რეზიდენტების სტაჟირებას გერმანიის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, თსსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესორ რაინჰოლდ ლანგს, პრივატ დოცენტ ფლორიან ვაისს, პროფესორ ფრიც შპელსბერგს და პროფესორ გეორგიოს მაიმარაკისს მიენიჭათ თსსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება (ამავე საბჭოს გადაწყვეტილებით, საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა პროფესორ დავით გაგუას).

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელთან დაკავშირებით

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისა და გარდაცვალებიდან 110 წლის აღსანიშნავად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ბესარიონ კილასონიამ წაიკითხა საჯარო ლექცია „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია. გაჩნდა იდეა, რომ 2017 წლის 28 აპრილს წაკითხული ეს ლექცია წიგნის სახით გამოცემულიყო. ეს იდეა დღეს უკვე ხორცშესხმულია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წიგნის თაროს შეემატა არაჩვეულებრივი ნაშრომი ილია ჭავჭავაძის შესახებ - პროფესორ ბესარიონ კილასონიას „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“.



ექიმი, სამართალმცოდნე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბესარიონ კილასონია 45 წელია ეწევა პედაგოგიურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობას სასამართლო მედიცინასა და პათოლოგიურ ანატომიაში. არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი, უმაღლესი კატეგორიის სასამართლო სამედიცინო ექიმი. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი სასამართლო მედიცინის, პათოლოგიური ანატომიისა და უმაღლესი განათლების აქტუალურ საკითხებზე, არის სამი მონოგრაფიისა და სამი სახელმძღვანელოს ავტორი. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.



სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ამ რთულ და დატვირთულ გზაზე, ბატონმა ბესარიონმა შეძლო მთვარი: მეცნიერებისა და სულიერების თანხვედრის დემონსტრირება. ამის ერთერთი მაგალითი მისი ზემოთხსენებული საჯარო ლექციაა.

საქართველოს უახლესი წარსული, კერძოდ ილიას მკვლელობის ფაქტი, განიხილა სამეცნიერო ჭრილში, როგორც სასამართლო მედიცინის მკვლევარმა. მეტიც, მან თავი მოუყარა სხვადასხვა წყაროებსა და ლიტერატურაში გაბნეულ საარქივო მასალას ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და გარდაცვალების შესახებ, დაამუშავა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის ისტორიის და გარდაცვალების შემდგომი ექსპერტიზის შესახებ და ანალიზის საფუძველზე წარმოადგინა ძალიან საინტერესო დასკვნა როგორც სიცოცხლის მანძილზე გადატანილი დაავადებების, ისე მკვლელობის ფაქტზე. მან შეძლო ილიას გარდაცვალებიდან 80 წლის შემდეგ, 1987 წელს, დაედგინა საგამოძიებო საქმის მასალებით და გვამის ექსპერტიზის მონაცემებით, ილია ჭავჭავაძის სხეულზე არსებული ცეცხლნასროლი ჭრილობის შესწავლით სროლის მიმართულების დადგენა: მანამდე თუ ცნობილი იყო, რომ ილიას ტყვია მოხვდა წინიდან, მან დაადგინა რომ ტყვიის შესავალი ხვრელი იყო სხეულის უკანა ზედაპირზე და გამოსვალი კი - წინა ზედაპირზე: „გვამის ექსპერტიზის მონაცემებს თუ შევადარებთ საგამომძიებლო საქმის მასალებს, ილია ჭავჭავაძეს გულმკერდის არეში აღენიშნებოდა გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა, რომლის შესავალი ხვრელი უნდა იყოს მარცხენა იღლიის ფოსოს უკანა კიდესთან და გამოსავალი ხვრელი კი მარჯვენა ძუძუს დვრილის ოდნავ მარცხნივ. ჭრილობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკნიდან წინ, ე.ი. ტყვია ზურგიდან უსვრიათ“.

ისტორია კიდევ ერთხელ გვახსენებს თავს და კიდევ ერთხელ ცოცხლდება ქართველი ერის მოუშუშებელი ჭრილობა: ილია ზურგიდან მოუკლავთ. ახლა უკვე მეცნიერულ დასკვნებზე დაყრდნობით, სახეზეა რეალური სურათი.

ბატონი ბესარიონ კილასონია ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ილიას თემაზე. იდეა მინსკში გაუჩნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, საკავშირო ყრილობაზე ყოფნისას, როცა რუსმა მეცნიერმა წარმოადგინა ივანე მრისხანეს გვამის ექსგუმაციის შესახებ საინტერესო დასკვნები.

- მეცნიერმა გაგვაცნო როგორ გააკეთა ივანე მრისხანეს ექსგუმაცია, ძვლების კვლევით დაადგინა, რომ ნორმაზე 50-60-ჯერ მეტი იყო ტყვიის შემცველობა ძვლებში, რაც ტყვიით ქრონიკული მოწამვლის ნიშანია. ცნობილია, რომ ტყვიით მოწამვლა იწვევს ნერვულ აშლილობას. შეისწავლა ისტორიული წყაროები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ წლების განმავლობაში ივანე მრისხანეს მკურნალობდნენ კანის გამონაყარზე მალამოთი, რომელიც დამზადებული იყო ტყვიაზე, რის გამოც ივანე მრისხანეს მიერ ჩადენილი შვილის მკვლელობა, ახსნა მოწმავლის შედეგად გამოწვეული ნერვული აშლილობით. ეს ინფორმაცია გახდა ბიძგისმიმცემი ჩემთვის, რათა მეფიქრა ასეთ საკითხებზე, - გვითხრა პროფესორმა ბესარიონ კილასონიამ.

- ილიას თემაზე რამდენ ხანს მუშაობდით?

- წავიკითხე აკაკი ბაქრაძის მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე, გამიჩნდა აზრი, მეც „მომეჩხრიკა“ ინფორმაცია. მოვიძიე ილია ჭავჭავაძის გვამის გამოკვლევის აქტი, მასალები მკვლელობის შესახებ და სტატია დავწერე, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“ 1987 წელს, ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავის აღსანიშნავად. 2017 წელსაც უკვე არსებული კვლევა გამდიდრებული ფაქტებით წარვადგინე საჯარო ლექციაზე.

- ხომ არ გაქვთ რაიმე სხვა საინტერესო იდეა ქართველი მოღვაწეების თქვენი პროფესიული თვალსაზრისით შესწავლისა და კვლევის თვალსაზრისით?

- იდეები მქონდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობისას, მსურდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის ვიზუალიზაცია გერასიმოვის მეთოდით. ასევე, მსურდა დავით აღმაშენებლის სახის აღდგენა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს ვერ შევძელი. ახლა ვამზადებ საჯარო ლექციას ისტორიული პიროვნებების ვიზუალური მხარის აღდგენასთან დაკავშირებით.

ჩვენ მოუთმენლად ველით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის, ბესარიონ კილასონიას ახალ ნამუშევრებს. რაც შეეხება ახლახანს წიგნად გამოცემულ საჯარო ლექციას, უნდა აღინიშნოს, რომ ბესარიონ კილასონიას ნამუშევარი არა მარტო მედიკოსებისთვის, მთელი საქართველოსთვის საინტერესოა, რადგან აქამდე არ ყოფილა ასე თავმოყრილი წმინდანად შერაცხილი ეროვნული მოღვაწის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და არც მისი მკვლელობის შემდეგ ჩატარებული ექსპერტიზის ხელახალი გააზრება გამხდარა ცნობილი ფართო მკითხველისთვის.

პროფესორ ბესარიონ კილასონიას ნამუშევარს კიდევ ერთი დიდი ღირსება აქვს: აქ, ერთი ნაშრომის ფარგლებში, წარმოდგენილია რამდენიმე ექიმი (XIX-XX საუკუნისა), როგორც ქართველი, ისე ევროპელი, ვინც მკურნალობდა ილიას, ან ტრაგიკული ფაქტის შემდეგ სწავლობდა მის სხეულს სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტაციის შესაქმნელად.

თვალსაჩინოებისთვის ერთ ეპიზოდს მოვიყვან: „გამოძიება დაიწყო 31 აგვისტოს. ცხედარი გამოიკვლიეს 31 აგვისტოს საგურამოში, ილიას სახლში. გამოკვლევა დაავალეს დუშეთის მაზრის ექიმს აბელ ოქროპირის ძე იაშვილს (ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საკითხების გადაწყვეტა დავალებული ჰქონდათ სამაზრო ექიმებს, იმჟამად დუშეთის მაზრის ექიმად მუშაობდა ა. იაშვილი)

დიდად განუცდია ასეთი დავალების მიღება აბელ იაშვილს, როგორც მისი შთამომავალნი გადმოგვცემენ, გვამთან პირისპირ დარჩენილს დაუწოქია, პირჯვარი გადაუწერია და ღმერთკაცის ამბორის შემდეგ ხელის კანკალით შესდგომია თავისი მოვალეობის აღსრულებას“.

ცოდნა, ღირსება, კაცთმოყვარეობა, პროფესიონალიზმი და სულიერება - ექიმების ეს თვისებები გამოსჭვივის მათ შესახებ მოყვანილ ეპიზოდებში. თანამედროვე ცხოვრებაში, როცა ექიმის პროფესია ათასგვარი განსჯის საგნადაა ქცეული, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.

ხსოვნა

პროფესორი დავით ვირსალაძე

გარდაიცვალა პროფესორი დავით ვირსალაძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის წევრი, საქართველოს ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს თიროიდოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ევროპის ენდოკრინოლოგთა საზოგადოების წევრი, ევროპის დიაბეტის შემსწავლელი ასოციაციის წევრი.

ბატონი დავით ვირსალაძე საქართველოს მედიკოსთა იმ გამორჩეული ოჯახის და გენის ღირსეული წარმომადგენელია, რომელმაც მოქალაქეობრივი პოზიციით, ადამიანური და პროფესიული თვისებებით წარუშლელი კვალი დატოვა სამედიცინო აზრის და უმაღლესი სამედიცინო განათლების განვითარებაში ჩვენს ქვეყანაში, მეტიც — მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი წარმატება და ავტორიტეტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1966 წლიდან ბატონმა დავითმა ცხოვრება და საქმიანობა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას დაუკავშირა და სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად ემსახურა ამ ჰუმანურ სფეროს. იგი, ნაყოფიერ საექიმო საქმიანობასთან ერთად, წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ჯერ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსიტიტუტში, 1976 წლიდან კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) ენდოკრინოლოგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად (1976-1986), შემდეგ — დოცენტად (1986-99), კათედრის გამგედ (1999-2006), პროფესორად და დეპარტამენტის ხელმძღვანელად (2006-2015). მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესების სფეროს თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში მეტაბოლიზმის დარღვევების ეტიოპათოგენეზის კვლევა, განსაკუთრებით კი – დიაბეტოლოგიის თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკული საკითხების შესწავლა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ის 100-მდე პუბლიკაციის და საერთაშორისო დარგობრივ ფორუმებზე წარდგენილი სამეცნიერო მოხსენებების ავტორია; დავით ვირსალაძის მონოგრაფიები კი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება ქრესტომათიული ამ საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისა და ექიმებისათვის.

დავით ვირსალაძის პრაქტიკული სამედიცინო და საორგანიზაციო აქტივობის ორგანული და ნაყოფიერი შერწყმის შედეგი იყო ,,დ-მელიტუსის“ — ექიმთა და დიაბეტით დაავადებულთა თბილისის რეგიონული კავშირის დაარსება, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიაბეტით დაავადებულთა სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებაში თბილისში; ამას გარდა, მის ბაზაზე შეიქმნა და სათანადოდ აღიჭურვა ნუტრიციოლოგიის ლაბორატორია და თიროიდოლოგიის კაბინეტი. ბატონი დავითის ხელმძღვანელობით ეფექტურად მიმდინარეობდა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამდენიმე პროფილური სახელმწიფო პროგრამა. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტი, პროფესორ დავით ვირსალაძის ხელმძღვანელობით, წლების განმავლობაში იყო ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის წარმატებული კერა და კომპეტენტური საექიმო აზრის რეალიზების ასპარეზი.

პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე, პროფესორი კონსტანტინე ვირსალაძე — ეს ხომ ეპოქალური მნიშვნელობის ადამიანებია ქართული მედიცინისათვის; ვირსალაძეებმა მსოფლიოს გააცნეს ქართული სამედიცინო აზრი და კულტურა. მათი სახელი დამსახურებულ სიამაყეს, მადლიერებას და მოწიწებას აღვიძებს ქართველ მედიკოსთა ურიცხვ არმიაში. ბატონი დავითი მათი ღირსეული შვილი და შვილიშვილი იყო. მისი დახვეწილობა, კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი მუდამ მისაბაძი იქნება მომავალი თაობებისთვის, მადლიერი პაციენტებისთვის, მრავალრიცხოვანი სტუდენტებისთვის, კოლეგებისთვის, მისი წასვლა კი – სრულიად შეუვსებელი დანაკლისი მოყვარული მეუღლის, სახელოვანი დის, შვილებისა და შვილიშვილებისთვის. იმედია, სწორედ ისინი, მათ შორის — პატარა კონსტანტინე ვირსალაძე, გააგრძელებენ წინაპრების ამ ნათელ გზას და კეთილ სახელს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

პროფესორი ლამარა ვაშაკიძის გახსენება

დიდი ხანი არ არის, რაც მარადიულ სამყოფელში უჩუმრად, უხმაუროდ გადაინაცვლა ცნობილმა ქართველმა ფთიზიატრმა, პროფესორმა ლამარა ვაშაკიძემ, რომლის მოღვაწეობის არეალი ფართო და მრავლისმომცველი იყო: საქართველოს ფთიზიატრთა და პულმონოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფთიზიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო-პედაგოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლამარა ვაშაკიძე სიცოცხლის ბოლო წუთებამდე დაუღალავად და ნაყოფიერად ემსახურა საყვარელ საქმეს...

27 ოქტომბერს ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში პროფესორ ლამარა ვაშაკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი, პროფესორი ზაზა ავალიანი, რომელმაც ისაუბრა ქ-ნი ლამარას ღვაწლზე ფთიზიატრიასა და, ზოგადად, მედიცინის განვითარებაში.

ქალბატონი ლამარა ვაშაკიძის პროფესიონალიზმსა და პიროვნულ ღირსებებზე გაამახვილა ყურადღება თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა.

კოლეგა და მეგობარი გულისტკივილით გაიხსენეს: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა კახა ვაჭარაძემ, ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნანა ქირიამ, ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ, თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ელზა ვაშაკიძემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ეკა სანიკიძემ; ასევე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენელმა თამარ სირბილაძემ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ირმა ხონელიძემ და სხვებმა.

წარმოდგენილი იყო ტელეკომპანია „პულსის“ მიერ გადაღებული ფილმი პროფესორ ლამარა ვაშაკიძის შესახებ, რომელმაც წარმოაჩინა მისი, როგორც პროფესიონალის და პიროვნების, სრულყოფილი პორტრეტი...

ბუნებრივია, საღამოს გასდევდა ჩუმი სევდა, ტკივილი და მონატრება ქალბატონისა, რომლის ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში კარგა ხანი გრძელდებოდა ამ ადამიანური ტრაგედიის უხმო განცდა, ხოლო დარგში ამ დეფიციტის შევსებას, როგორც საღამოზე აღინიშნა, შესაძლოა წლები დასჭირდეს.

ვიქტორინა-კონკურსი ყოველწლიურად ჩატარდება

2017 წლის 14 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტში ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი, რომელიც სტუდენტთა აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით წელს პირველად გაიმართა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ახალგაზრდა თაობის მოტივირებას და სწავლისადმი ინტერესის ამაღლებას. ღონისძიება ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.

კონკურსში ხუთი გუნდი მონაწილეობდა მედიცინის ფაკულტეტის მესამე სემესტრის სტუდენტების შემადგენლობით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს უშუალო ხელმძღვანელობას სტომატოლოგიის ფაკულტეტის მეშვიდე სემესტრის სტუდენტები უწევდნენ.

ვიქტორინას მოდერატორობდა ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნათია გუჯაბიძე, რომელიც დავალებებს აძლევდა ჯგუფებს.

ვიქტორინის ბოლოს კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პროფესორები: ლიანა კიკალიშვილი, ასმათ შუკაკიძე, ირინა კვაჭაძე, თინათინ ჩიქოვანი, ზურაბ ორჯონიკიძე გამოავლინა გამარჯვებული გუნდი, რომლის წევრები სიმბოლური საჩუქრებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

საქართველოს თასის გათამაშება ძალისმიერ სახეობებში

28-29 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება ძალისმიერი სპორტის სახეობებში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, მათ შორის, – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-9 სემესტრის სტუდენტი ელენე მგელაძე, რომელმაც 60 კგ. წონით კატეგორიაში, ასწია 110 კგ.-იანი შტანგა და დაიკავა I ადგილი.

წარმატებას ვულოცავთ ელენე მგელაძეს და მის პედაგოგს, თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის ძალისმიერი სამჭიდისა და მკლავჭიდის სახეობათა მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვთვნელს ათლეტიზმში, ბატონ გოგა დარჩიას.

კლასიკური მუსიკის კონცერტი

6 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსში, ,,თეატრალურ დარბაზში", გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი. მასში მონაწილეობა მიიღეს თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილების წევრებმა, თსსუ-ის ძველი და ახალი თაობის სტუდენტებმა: ანა არაბიძემ, ქეთი რამიშვილმა, მარიამ გოჩიტაშვილმა, ნინო ხვედელიძემ, მიხეილ დუმბაძემ, ნუცა გოგრაჭაძემ, სოფო ოყროშიძემ, ნუცა წიქრიძემ, ნინო დუდაურმა, ვასილ თევდორაშვილმა, რომლებმაც შეასრულეს შოპენის, სენ-სანის, შტრაუსის, პროკოფიევის, გერშვინის და სხვა კომპოზიტორთა სავიოლინო, ვოკალური და საფორტეპიანო ნაწარმოებები.

კლასიკური მუსიკის კონცერტის წარმატება თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის კლასიკური მუსიკის განყოფილების ხელმძღვანელის, ბატონი გოდერძი ჩიტაიშვილის, თავდადებული შრომისა და თსსუ-ის სტუდენტების ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის შედეგია. განსაკუთრებით საამაყოა, რომ მომავალი მედიკოსები და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები ასეთ წარმატებას აღწევენ ხელოვნებაში.

კონცერტის მსმენელები ოვაციებს ვერ ფარავდნენ სტუდენტების მიერ შესრულებული კლასიკური ნაწარმოებების მოსმენის შემდეგ.

კონცერტს ესწრებოდნენ თსსუ-ის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. დასასრულს, თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, მადლობა გადაუხადა ხელოვან სტუდენტებს და ბატონ გოდერძი ჩიტაიშვილს შესანიშნავი საღამოს მოწყობისთვის.

„ეს კონცერტი კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ჩვენს უნივერსიტეტს ძალიან მომზადებული და ნიჭიერი სტუდენეტები ჰყავს. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ისწავლო, განვითარდე და არა მარტო პროფესიის თვალსაზრისით მიიღო ცოდნა, ხელოვნებაშიც დაიხვეწო. მადლობა რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრს, მთელ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ამ პირობების შექმნისთვის", — აღნიშნეს კონცერტის შემდეგ სტუდენტებმა.

მინი-ფეხბურთის ტურნირი

ფოტოზე პირველ რიგში სხედან: შოთა იამანიძე, გიორგი ვალიშვილი, ავთანდილ ჩავლეიშვილი და გეგი ბაქრაძე; დგანან: ვახტანგ ბაქანიძე, შოთა სართანია, ბაქარ ტურაზაშვილი, იოსებ გიოშვილი, ლაშა ოსეფაშვილი, ლუკა თვარაძე დას ცოტნე სილაგაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, ბატონი ზაური ფხალაძის და ცენტრის თანამშრომლის, უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ბატონი ვახტანგ ბაქანიძის, ორგანიზებით და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით, სამედიცინო უნივერსიტეტში არაერთი სპორტული ტურნირი იმართება.

დიდი იყო სტუდენტთა ინტერესი მინი საფეხბურთო ტურნირისადმი, რომელიც დიდი ქართველი ფეხბურთელების – თბილისის „დინამოს" გუნდის კაპიტნის, შოთა იამანიძის, თავდამსხმელების – მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის, ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირი 9-24 ოქტომბერს ჩატარდა.

ტურნირის გამარჯვებული გუნდი გახდა „ინტერნაციონალი", რომელმაც ფინალში დაამარცხა გუნდი -„ლომთა-ლომი", ანგარიშით – 5:2, მესამე ადგილზე გავიდა ფარმაციის ფაკულტეტის გუნდი.

სხვადასხვა ნომინაციაში დასახელდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები: მეკარე - შოთა სართანია, მცველი - გიორგი ვალიშვილი, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი - სოსო გიოშვილი, გოლიადორი - გიორგი პაიჭაძე (11 ბურთი).

ფინალს დაესწრო და გამარჯვებულ გუნდს თასი გადასცა შოთა იამანიძის შვილიშვილმა, მისმა თანამოსახელემ, შოთა იამანიძემ, რომელიც მეუღლესთან ერთად იყო მოსული გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასი და სიგელები.

კალათბურთის ჩემპიონატი

30 და 31 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში, სპორტისა და ხელოვნების ცენტრისა და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა საკალათბურთო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამედიცინო უნივერსიტეტის საფაკულტეტო გუნდებმა.

ჩემპიონატს კურირებას უწევდნენ სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ბატონი ზაურ ფხალაძე და სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სოლომონ ერგემლიძე.

ჩემპიონატის არბიტრი გახლდათ თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი, ლეგენდარული თბილისის „დინამოს" წევრი, საკავშირო ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული, ბატონი სერგო იშხნელი.

დაძაბულ ბრძოლაში საპრიზო ადგილები შესაბამისად განაწილდა:

ფარმაცის ფაკულტეტი (პირველი ადგილი), გუნდი – „76" (მეორე ადგილი), მესამეზე კი გუნდი – „სოლოსთან დარეკილია" გავიდა.

გამარჯვებას ვულოცავთ სტუდენტებს და სამომავლო წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

ჩემპიონატი შაშსა და ნარდში

8 ნოემბერს გამართულ ჩემპიონატში შაშსა და ნარდში მონაწილეობდნენ თსსუ-ის სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტიდან. ბაგრატ ბუღაშვილმა, დაჩი ხონელიძემ და სოლომონ ერგემლიძემ საპრიზო ადგილები გაინაწილეს შაშში, ნარდში კი 20 მონაწილეს შორის გამარჯვება შესაბამისად ხვდათ: ავთანდილ ჩავლეიშვილს, თედო ჭელიძეს და სიმონ კვაჭაძეს.

საჭადრაკო ტურნირი

10 ნოემბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის (ხელმძღვანელი ს. ერგემლიძე) ინიციატივით და თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით, გაიმართა ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც 16 ვაჟი და 6 გოგონა მონაწილეობდა.

პირველი ადგილი ვაჟებს შორის ა. ფანჩულიძემ (I სემესტრის სტუდენტი), მეორე ა. მამედოვმა (XI სემესტრის სტუდენტი), მესამე კი გ. გარუჩავამ (III სემესტრის სტუდენტი) მოიპოვა (ყველანი მედიცინის ფაკულტეტიდან). გოგონებს შორის ადგილები, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს შორის გადანაწილდა — ა. ყიფშიძემ (VII სემესტრის სტუდენტი), ე. ჯაფარიძემ (III სემესტრის სტუდენტი) და ბ. ბუღაშვილმა (I სემესტრის სტუდენტი) გაინაწილეს საპრიზო ადგილები.

„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა ჯიყაშვილი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com